სოლიდარობის ქსელი – მშრომელთა ცენტრი

Solidarity Network – Workers' Center

მის. ქეთევან წამებულის ქ. 68, 0120, თბილისი, საქართველო. ელ.ფოსტა: solnetworkerscenter@gmail.com ; ვებ-გვერდი: www.solnet.ge

თარიღი:18/05/2020

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს,
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ასლი: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს

პროფესიული კავშირის „ა(ა)იპ სოლიდარობის ქსელი-მშრომელთა ცენტრის"
ს/ნ 404535455
თავმჯდომარის,
თეონა ჰენდერსონის

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

/კოლექტიური დავის დაწყებისა და მედიატორის დანიშვნის მოთხოვნის შესახებ/

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ სოლიდარობის ქსელი-მშრომელთა ცენტრი არის პროფესიული კავშირი, რომელის წევრებიც არიან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში სოციალური აგენტის პოზიციაზე დასაქმებული პირები.

წლებია სოციალურ აგენტების შრომითი უფლებები უხეშად ირღვევა. კერძოდ, უკვე წლებია კანონის გვერდის ავლით მათთან ფორმდება ერთთვიანი შრომის ხელშეკრულებები, რომელებიც ყოველი თვის ბოლოს გრძელდება.

სოაციალური აგენტების ხელფასი დაიანგარიშება არასწორად. მათი საბაზისო ხელფასი არის ძალიან მწირი და შეადგენს მხოლოდ 100 ლარს. ხოლო დანარჩენი ხელფასი დამოკიდებულია გამომუშავებაზე. ამასთან პანდემიის დროს სოც. აგენტებს ხელფასის სახით ჩაერიცხათ მხოლოდ 100 ლარი (საშემოსავლო გადასახადის გარეშე 80 ლარი) და დამატებით ბონუსი. აღნიშნული თანხა უფრო მცირეა, ვიდრე საქართველოში დადგენილი საარსებო მინიმუმი.

სამწუხარო რეალობაა, რომ სააგენტო მოქმედებს ორმაგი სტანდარტით, კერძოდ, სანქციის შემთხვევაში თანხის დაქვითვა ხდება არა ფიქსირებული ხელფასიდან (80ლარი) არამედ სამი თვის საშუალო ნამუშევრიდან.

სოციალურ აგენტებს აქვთ ძალიან დაბალი ხელფასები, შესაბამისად ისინი თავად დგებიან სოციალურად დაუცველოს საფრთხის ქვეშ.

წლებია მიმდინარეობს სოციალური აგენტის დისკრედიტაცია. საზოგადოებაში ვრცელდება ცრუ ინფორმაცია სოციალური აგენტის საქმიანობის შესახებ, რასაც როგორც წესი საზოგადოების გულისწრომა მოყვება. აღნიშნულ პროცესს ხელს უწყობს დამსაქმებლის არასწორი პოლიტიკა.

ამასთან სოციალურ აგენტებს ხშირად უწევთ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ გარემოში მუშაობა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენი მოთხოვნებია:

1. ერთ თვიანი ხელშეკრულებების ნაცვლად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებულ სოციალურ აგენტებთან გაფორმდეს შრომის კოდექსის მე-6-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის შესაბამისი ხელშეკრულებები.

2. გადაანგარიშდეს თითოეული სოციალური აგენტისა და უფროსი სოციალური აგენტის მიერ 3 თვის საშუალო ხელფასი და აპრილისთვე სოციალური აგენტებს აუნაზღაურდეთ შესაბამისად. აპრილის თვის დანაკლისი დაირიცხოს სასწრაფოდ.

3. შრომის ხელშეკრულებაში არაორაზროვნად დაფიქსირდეს, რომ შვებულების, ე.წ. მე-13 ხელფასის, იძულებითი მოცდენის დროს (მათ შორის საგანგებო მდგომარეობა) სოციალურ აგენტის ანაზღაურება იქნება ნამუშევარი წინა სამი თვის საშუალო ანაზრაურება.

4. დამსაქმებელმა საინფორმაციო წყაროებს საჯაროდ მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რომ სოციალური აგენტი ქულას არ ითვლის, რათა შეწყდეს უსამართლო ლანძღვა და ზეწოლა ბენეფიციარების მიერ. აღდგეს სოციალური აგენტების შებღალული რეპუტაცია.

5. ვითხოვთ, სოციალური აგენტებისათვის ფიქსირებული ხელფასის გონივრულად გადაანგარიშებას, მათი ხელფასი უნდა შეადგენდეს მინიმუმ ხელზე ასაღები 360 ლარს. უფროსი სოც. აგენტის შემთხვევაში, უფრო რთული, მოცულობითი და საპასუხისმგებლო სამუშაოს გამო 500 ლარს. შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის დასრულებისთანავე გადაიხედოს სახელფასო პოლიტიკა. საბაზისო და გამომუშავებული თანხაც უნდა იყოს დაკისრებული პასუხისმგებლობის, სამუშაოს სირთულის, რისკისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან უნდა გაიზარდოს სოციალური აგენტის მიერ შესრულებული ერთეული დეკლარაციის და დახმარების დანიშვნის ანაზღაურება, შეყვანილ იქნეს ანაზღაურებაში WORQNET-ის და არასრულწლოვანთა 50 ლარიანი დახმარების დანიშვნის ფორმები. ანაზღაურდეს ასევე 1 წლიანი ოქმის მოხსნისათვის განხორციელებული ვიზიტი.

6. ე.წ. „გამომუშავებით ანაზღაურება“ უნდა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით: ოჯახში მცხოვრები (0-18 წლამდე ასაკის) ბავშვების დეკლარაციის ანაზღაურებას დაკისრებული პასუხისმგებლობის შესაბამისად. ხელზე ასაღები 4 ლარის ოდენობით (გადასახადების გარეშე). 1 დასრულიებული რეაგირება (დეკლარაცია, ოქმი, დანიშვნა, წერილობითი აქტი) 10 ლარის ოდენობით (გადასახადების გარეშე).

7. პროგრამის ხარვეზებთან დაკავშირებით გაითვალისწინებულ იქნეს სოციალური აგენტების აზრი, დამსაქმებელმა მათთან ერთად იმუშავოს პროგრამაში ცვლილებების შეტანაზე, რათა უფრო ნაკლები ცდომილებით გაიცეს მიზნობრივი საარსებო შემწეობა.

8. სოცუალური აგენტი უზრუნველყოფილ იქნეს ტრანსპორტით და ნორმირებული საწვავის ტალონებით

9. სააგენტომ შეიმუშავოს აგენტების დამცავი მექანიზმი მაღალი ქულის გამო მოქალაქეების მხრიდან წამოსული აგრესიის და ძალადობრივი ქმედებების საწინააღმდეგოდ.

საქართველოს შრომის კოდექსის 48[1] მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, მოლაპარაკებების ნებისმიერ სტადიაზე, შეთანხმების მისაღწევად მხარეს უფლება აქვს, წერილობით მიმართოს მინისტრს მედიაციის დაწყების მიზნით დავის მედიატორის დანიშვნის თაობაზე.

პროფესიული კავშირი „სოლიდარობის ქსელი-მშრომელთა ცენტრი“ იყენებს კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას და გატყობინებთ, რომ ვიწყებთ კოლექტიურ დავას სსიპ

სოციალური მომსახურების სააგენტოსთან საქართველოს შრომის კოდექსის 48^1-ე მუხლის საფუძველზე.

ვინაიდან გვსურს დავის მედიაციის გზით გადაჭრა, მოგმართავთ თხოვნით, გთხოვთ, პროფესიული კავშირის ა(ა)იპ სოლიდარობის ქსელი-მშრომელთა ცენტრის წევრებს (სოციალურ აგენტებს) და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის წარმოშობილი კოლექტიური დავის შეთანხმებით გადაწყვეტის მიზნით დანიშნოთ დავის მედიატორი.

პატივისცემით,
თეონა ჰენდერსონი